საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 808

2026 წლის 26 ოქტომბერი ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2027 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტისა და ბიუჯეტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის აჭარის ავტონომიურირესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28–ე მუხლის შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2027 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი და ბიუჯეტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი.

2. ბრძანების 1–ლი პუნქტით გათვალისწინებული კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განხილვისას მომხსენებლად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი - ედნარ ნატარიძე. მომხსენებელს მიენიჭოს უფლებამოსილება დაეთანხმოს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილებების განხორციელებას.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ზურაბ პატარაძე